# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/22 „17" აგვისტო 2014 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $11^1$ მუხლი:

**„მუხლი $11^1$. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის საჯაროობა**

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სხდომის აუდიო-, ვიდეოჩაწერა. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს საჯარო სხდომის აუდიო-, ვიდეოჩანაწერის დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შესაძლებელია განახორციელონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნის ფოტოგადაღება და ვიდეო-, აუდიოჩაწერა.";

ბ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კენჭისყრა ღიაა, გარდა მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს სხვა საკითხებზეც. ფარული კენჭისყრა ტარდება ბიულეტენების მეშვეობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 2/3-ის თანხმობით, ფარული კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი